# ხელშეკრულება N 35

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. წყალტუბო 15 დეკემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ **"წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გარე განათება"** (შემდგომში „შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის **თორნიკე ლალიაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, (შემდგომში „მიმწოდებელი'') შპს "თეგეტა მოტორსი" წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის ქუთაისის ფილიალის დირექტორის სანდრო ნერგაძის სახით, (მინდობილობა N0009 გაცემული 3/01/2014წ) სახელმწიფო შესყიდვების კანონის და "გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მე-1 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ **"წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გარე განათების" კუთვნილი ავტომანქანისთვის** (მარკა MERCEDES BENC E 260, სახ.N WYW 088 ) 2 (ორი) ერთეული საბურავის და 1 (ერთი) ერთეული აკუმულატორის შეძენა. საქონლის სრული ჩამონათვალი მითითებულია დანართი №1-ში . აღნიშნული დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მასში მითითებული საბურავების სარეალიზაციო ფასი მოიცავს მისი მონტაჟის და ბალანსირების ღირებულებას.

**3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **516 ( ხუთასთექვსმეტი**)ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

**4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად,სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

**5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის შემდეგ.

**6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება; ქ. ქუთაისი,ნიკეას მე-9 ჩიხი N 2ა

6.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

**7. მხარეთა უფლება–მოვალეობები**

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით.

**8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

**9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალედბულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20 (ოცი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლება მხარეს ძირითად ვალდებულებების შესრულებისაგან.

**10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## მხარეთა იურიდიული მისამართები

**შემსყიდველი:**

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გარე განათება"

მის: ქ. წყალტუბო,რუსთაველისქ.#25

ს/ს"ლიბერთი ბანკის" წყალტუბოს ფილიალი

ბ/კოდი: LBRTGE22

ა/ა GE22LB0115185449796000

ს/კოდი: 421269861

**დირექტორი**
**თორნიკე ლალიაშვილი**

**მიმწოდებელი:**

შპს "თეგეტა მოტორსი"

ქ.თბილისი,აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ 5

ს/ს თიბისი ბანკი

ბ/კოდი: TBGBGE22

ა/აGE80TB0600000024467853

ს/კოდი: 202177205

**ქუთაისის ფილიალის დირექტორი**
**სანდრო წერგამე**